საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №01-08/54

14 სექტემბერი 2012 წ. ქ. ბათუმი

2012-2013 სასწავლო წლისათვის რსუ-ს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები გამოცდების ორგანიზების მიზნით საგამოცდო კომისიების და საპრეტენზიო საბჭოს შექმნის შესახებ №01-08/37 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, რსუ-ს წესდების მე-13 მუხლისა და განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2012 წლის 6 სექტემბრის №2948 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნას ცვლილება ,,2012-2013 სასწავლო წლისათვის რსუ-ს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები გამოცდების ორგანიზების მიზნით საგამოცდო კომისიების და საპრეტენზიო საბჭოს შექმნის შესახებ“ რსუ-ს რექტორის 2012 წლის 20 აგვისტოს №01-08/37 ბრძანების, განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამა ბიოლოგიის ნაწილში, კერძოდ საგამოცდო კომისია განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:

4)საგანმანათლებლო პროგრამა „ბიოლოგია“

1. სრული პროფესორი დავით ბარათაშვილი - თავმჯდომარე;
2. ემერიტუსი ანზორ დიასამიძე - წევრი;
3. ემერიტუსი რევაზ ზოსიძე - წევრი;
4. ასოც. პროფესორი ნათელა ვარშანიძე -წევრი;
5. ასოც. პროფესორი ლეილა ახვლედიანი - წევრი.

2. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს რსუ-ს განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტზე, მაგისტრატურის, რეზიდენტურის და დოქტორანტურის მართვის სამსახურთან თვალსაჩინო ადგილას არსებულ საინფორმაციო დაფებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რის უზრუნველყოფა დაევალოთ შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს, მაგისტრატურის, რეზიდენტურის და დოქტორანტურის მართვის სამსახურს და საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სამსახურს.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი ა. ბაკურიძე